



24 აპრილი, 2010

საქველმოქმედო საღამო “პირველი ნაბიჯი საქართველოსთვის”

დღეს, ბიზნესის, მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიკრიბნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქართველი ბავშვების დასახმარებლად. საქველმოქმედო საღამო ჩატარდა სასტუმრო რადისონში “პირველი ნაბიჯი საქართველოს” დღის ცენტრის განვითარებისთვის შემოწირულობის მისაღებად. ამ ღონისძიების მთავარი პარტნიორი და მხარდამჭერი იყო HSBC ბანკი. საღამო გაიმართა სანდრა ელისაბედ რულოვის პარტონაჟით.

“პირველი ნაბიჯი საქართველო” არის საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მოზარდების მომსახურებას. ორგანიზაცია შეიქმნა 1998 წ. კასპის ბავშვთა სახლში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ობლების გადასარჩენად. “პირველმა ნაბიჯმა” ჯანდაცვის სამინისტროსთან და გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) ერთად მიაღწია კასპის ბავშვთა სახლის დახურვას.

საქართველოს პირველმა ლედიმ, რომელიც ასევე გახლავთ ფონდ SOCO-ს დამფუძნებელი, საქველმოქმედო საღამოზე განაცხადა: “ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმ ბავშვების და მოზარდების ბედი, რომელთაც ესაჭიროებათ განსაკუთრებული მოვლა ან მშობლების მზრუნველობას არიან მოკლებულნი. საქართველოში მიმდინარე “ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის” ფარგლებში, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ოჯახური ტიპის და თემზე-დაფუძნებული მომსახურება, შევქმნათ ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული მოდელები, რათა შევამციროთ ბავშვების რაოდენობა ბავშვთა სახლებში და ქუჩაში, უზრუნველყოთ განათლებისა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის.”

HSBC ბანკის გენერალურმა დირექტორმა, გაი ლუისმა თქვა: “ჩვენ ვაფინანსებთ “პირველი ნაბიჯი საქართველოს” “ბავშვთა ოჯახში მომსახურების” პროგრამას და გვჯერა, რომ ეს მხარდაჭერა მოიტანს ცვლილებებს ამ ბავშვების ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, გვსურს წავახალისოთ საქართველოში მოქმედი სხვა ბიზნესებიც, იმიტომ რომ ერთად უფრო მეტის გაკეთება შესაძლებელია. ვფიქრობ, ეს სადამო ასეთი ერთობის წარმატებული დასაწყისია.”

დღის ცენტრების, ოჯახებში ზრუნვისა და მშობლების გაძლიერების პროგრამების მეშვეობით, “პირველი ნაბიჯი” თავის ძალისხმევას იმ ოჯახების დასახმარებლად მიმართავს, სადაც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები და ახალგაზრდები ცხოვრობენ.

“პირველი ნაბიჯი საქართველოს” დამფუძნებელმა ნინო ჟვანიამ განაცხადა: “პირველი ნაბიჯი საქართველო” 12 წელზე მეტია, რაც ჩამოყალიბდა. ჩვენ ვიყავით პირველები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე ზრუნვის ახალი ფორმების დანერგვაში. 12 წლის წინ ჩვენ დავინახეთ საჭიროება დავხმარებოდით იმ ბავშვებს, რომლებიც უკიდურესად ცუდ პირობებში ცხოვრობდნენ. მას შემდეგ კიდევ ბევრი რამ განვითარდა და ამჟამად ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ოჯახებს, რომელსაც ჰყავს ასეთი ბავშვები, დღის ცენტრისა და ოჯახში მომსახურების პროექტების საშუალებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, სანდრო კვიციანიამ თქვა: “გონიერი საზოგადოება, ყოველთვის ზრუნავს მის დაუცველ წევრებზე, განსაკუთრებით ბავშვებზე. საქართველოში ჩვენ უნდა წავახალისოთ ასეთი ინიციატივები. ჩვენი მხარდაჭერით ეს ბავშვები უნდა გახდნენ ინტეგრირებული და სრულფასოვანი წევრები ჩვენი საზოგადოების. მე მსურს მადლობა ვუთხრა “პირველი ნაბიჯი საქართველოს” მათი პროფესიონალიზმისა და თავდადებისთვის.”

საქველმოქმედო საღამოზე შემოწირულობა შეგროვდა მაგიდებისა და გათამაშების ბილეთების გაყიდვისა და აუქციონის საშუალებით. “პირველი ნაბიჯი საქართველო გეგმავს ასეთი საქველმოქმედო საღამოების გამართვას ყოველწლიურად.

დასასრული

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

HSBC ბანკი საქართველო

მაკა გვრიტიშვილი

ტელ: (995 32) 17 77 48

ელ-ფოსტა: makagvritishvili@hsbc.com

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სოფო გვალია

ელ-ფოსტა: sgvalia@moh.gov.ge

პირველი ნაბიჯი საქართველო

თეონა ხუხუნაშვილი

ტელ: +995 32 25 25 19

ელ-ფოსტა: t.khukhunashvili@firststepgeorgia.org